შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№13 (9.775)

8 – 15 აპრილი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს

გვ.3

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

გვ.3

გვ.5

დედოფლისწყაროს ბუნებას გაფრთხილება სჭირდება

გვ.6

ქართველი ბიჭების გამოგონილი სამაჯური, ქამარი, ჩაფხუტი და კეპი ელექტროგენერატორით

მოწევ – არ მოწევ? – საკითხავი აი ეს არის!

გვ.3

ქალია ცხოვრების საწყისი

გვ.5

კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ორი ძეგლი

გვ. 8

გილოცავთ ბზობას!

გვ.5

C M Y K

პრემიერი გამგებლებს აფრთხილებს, დანაგვიანების პრობლემა სასწრაფოდ მოაგვარონ

პრემიერ—მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს, მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდონ დანაგვიანების პრობლემას და განსაკუთრებით ზაფხულის ტურისტული სეზონის მოახლოების გათვალისწინებით, სასწრაფოდ მოაგვარონ.

„დანაგვიანება არის ძალიან მძიმე პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით, არამედ კომბინირებულად, სანქციებით უნდა მოვაგვაროთ, ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია გათვალისწინებული. ეს ჩვენი ღირსების საქმეა, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე.

პრემიერის თქმით, დანაგვიანების მხრივ კატასტროფული ვითარებაა, როგორც ავტობანის მიმდებარე, ისე სხვა ტერიტორიებზე.

„სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით ვერ ვაღწევთ იმ შედეგს, რომ პოლიეთილენის პარკები თუ სხვა ტიპის ნაგავი არ იყოს მიმოფენილი ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ლანდშაფტზე. ამის თაობაზე წერენ ჩვენი მოქალაქეები, ჩამოსული ტურისტები და ეს არის ძალიან მძიმე პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ საინფორმაციო კამპანიით, არამედ კომბინირებულად, სანქციებით უნდა მოვაგვაროთ, ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია გათვალისწინებული. ეს ჩვენი ღირსების საქმეა“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისგან მოისმინა ინფორმაცია, პრობლემის კომპლექსურად გადაჭრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გიგლა აგულაშვილის განმარტებით, შინაგან საქმეთა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენელთა ჩართულობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფი უახლოეს დღეებში დაასრულებს მუშაობას ერთიან მოდელზე, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს, ადმინისტრირების გაუმჯობესებას, საინფორმაციო კამპანიის გააქტიურებას, მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობას და ყველა მუნიციპალიტეტს შორის ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას გულისხმობს. მინისტრის თქმით, ასევე განხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი და პროცესის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობა ინფორმაციას მუდმივად მიიღებს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პრობლემის დროული აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ზაფხულის ტურისტული სეზონის მოახლოების გათვალისწინებით.

„მე ბევრს ვმოგზაურობ საქართველოს ფარგლებში და მინდა, გავაფრთხილო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები - ძალიან მწვავე რეაქცია მექნება, თუ არ გვექნება შედეგი რამდენიმე თვეში, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნის სახე და საქართველოს მოსახლეობის კულტურის მაჩვენებელი. ამიტომ, ვერ შევეგუებით იმას, რომ ასეთ მდგომარეობაში იყოს ჩვენი ქვეყნის ბუნება, რომელსაც ყველა უნდა გავუფრთხილდეთ. მინდა, ყველა უწყებას ვთხოვო, მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდონ ამ საკითხს“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შვედეთის პრემიერ-მინისტრი - ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რაც დღეს მოხდა, ტერორისტული აქტია

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რაც დღეს მოხდა, ტერორისტული აქტია, - ამის შესახებ შვედეთის პრემიერ-მინისტრმა სტეფან ლოფენმა განაცხადა.

სტოკჰოლმში სატვირთო ავტომანქანის ხალხში შევარდნის შედეგად სულ მცირე სამი ადამიანი დაიღუპა, არიან დაშავებულებიც.

გავრცელებული ინფორმაციით, დიდი სიჩქარით მოძრავი სატვირთო ავტომანქანა ფეხით მოსიარულეებს შეეჯახა. მანქანა სავაჭრო ცენტრის ვიტრინაში შევარდა.

ამ მომენტისთვის პოლიციამ ქუჩის ბლოკირება მოახდინა. ადგილზე პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ბრიგადები მუშაობენ.

პრეზიდენტი - სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა და მწირი პენსიები აწუხებს საზოგადოებას

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა, მწირი პენსიები და ლარის არასტაბილურობა აწუხებს. მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემები ყოველგვარი კვლევის გარეშე თვალსაჩინოა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, საქართველოში სამუშაო ადგილები ინვესტიციების ზრდის პირდაპირპროპორციულად არ იქმნება. მისივე თქმით, ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო, ინვესტორებს უცხოელი მუშახელი ჩამოჰყავთ.

„სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა, მწირი პენსიები და ლარის არასტაბილურობა - სწორედ ეს არის ის პრობლემები, რაც ყველაზე მეტად აწუხებს საზოგადოებას და, რაც ყოველგვარი კვლევის გარეშე თვალსაჩინოა. ეკონომიკის, ან ინვესტიციების ზრდა არაფრისმთქმელ სტატისტიკურ მონაცემად დარჩება, თუ არ მოხდება ისედაც მწირი დოვლათის ეფექტური გადანაწილება, სამუშაო ადგილების შექმნა. სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში ინვესტიციების ზრდის პირდაპირპროპორციულად არ იქმნება სამუშაო ადგილები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ინვესტორებს უცხოელი მუშახელი ჩამოჰყავთ, ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო. შესაბამისად, იმისთვის, რომ უცხოური ინვესტიციებიდან მეტი სარგებელი მივიღოთ, საჭიროა, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლება ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად ვაქციოთ“,- განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ბოლო პერიოდში არსებობს ტენდენცია, რომ მსხვილი ბიზნესი კიდევ უფრო მსხვილდება, შედარებით მცირე ბიზნესის შესყიდვა-შერწყმის ხარჯზე. მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური რეფორმების შემუშავება და დანერგვა ბიზნესთან კონსულტაციების გარეშე არ უნდა ხდებოდეს.

ზაზა გაბუნია - ჩვენ არ გთხოვთ შეგვაქოთ, ჩვენ გთხოვთ პატივი სცეთ კონსტიტუციით განსაზღვრულ თქვენს როლს

ჩვენ არ გთხოვთ შეგვაქოთ, ჩვენ გთხოვთ პატივი სცეთ კონსტიტუციით განსაზღვრულ თქვენს როლს, - ასე მიმართა ფრაქცია "ქართული ოცნება მწვანეების" წევრმა ზაზა გაბუნიამ საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

როგორც ზაზა გაბუნიამ განაცხადა, მისთვის გაუგებარია, რატომ არ მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო კომისიაში. "ბატონო პრეზიდენტო, მაინტერესებს საკონსტიტუციო კომისია რატომ ვერ იმსახურებს თქვენს ნდობას?! იქ მუშაობენ ორი თაობის კონსტიტუციონალები და პროფესიონალები. ამავდროულად თქვენ თქვენს მოტივირებულ შენიშვნებზე მეტად ხელისუფლებასთან პოლიტიკური კონფრონტაციით ხართ მოტივირებული. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თქვენ ირიბად და ნებაყოფლობით ამბობთ უარს პრეზიდენტის ზეპოლიტიკურ თანამდებობაზე და ხდებით პოლიტიკური მოთამაშე. ისევე, როგორც არბიტრმა რომ გადაიცვას ერთ-ერთი გუნდის მაისური, ის უნდა განვიხილოთ, როგორც გუნდის წევრი და არა არბიტრი, რომლის მთავარი ამოცანაა ქულების დაგროვება.

მე მჯერა, რომ თქვენ ხართ ბუნებით დემოკრატი და გესმით რამდენად მნიშვნელოვანია პრეზიდენტს ჰქონდეს საკუთარი როლი და მან შეინარჩუნოს დამკვირვებლის როლი", - განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

მისივე თქმით, როდესაც განსწავლული ზედაპირულობით მხოლოდ ვიწრო ჯგუფების მაამებლურ განცხადებებს აკეთებს, ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი უბრალოდ ხელისუფლების ოპონენტია. "გთავაზობთ დავასრულოთ ამ ინსტიტუციებისთვის შეუფერებელი კინკლაობა. ჩვენ არ გთხოვთ შეგვაქოთ, ჩვენ გთხოვთ პატივი სცეთ კონსტიტუციით განსაზღვრულ თქვენს როლს", - განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

ირაკლი კობახიძე - ძალიან მძიმე სურათი დაიხატა პრეზიდენტის მოხსენებაში და ვფიქრობ, ეს სურათი სინამდვილეს არ ასახავს

ძალიან მძიმე სურათი დაიხატა პრეზიდენტის მოხსენებაში და ვფიქრობ, ეს სურათი არ ასახავს იმ სინამდვილეს, რომელიც არის ჩამოყალიბებული ჩვენს ქვეყანაში, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პარლამენტში პრეზიდენტის წლიური ანგარიშის შეფასებისას განაცხადა.

კობახიძე ეთანხმება უმრავლესობის დეპუტატების შეფასებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის მოხსენებას აკლდა ობიექტურობა.

"ძალიან მძიმე სურათი დაიხატა პრეზიდენტის მოხსენებაში და მე ვფიქრობ, რომ ეს სურათი არ ასახავს იმ სინამდვილეს, რომელიც არის ჩამოყალიბებული ჩვენს ქვეყანაში. მე შეგახსენებთ, რამდენიმე ფრაზას, მაგალითად პრეზიდენტის მოხსენებაში საუბარი იყო, რომ ძალაუფლების კონცენტრაციის საფრთხე იყო და ეს საფრთხე იქცა სერიოზულ პრობლემად, ეს საკმაოდ მძიმე განცხადებაა, "მმართველი ძალა ჩაიკეტა საკუთარ თავში" - ესეც ძალიან მძიმე განცხადებაა, ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ მოქალაქე დაუცველია, როცა ხელყოფილია მისი უფლება ილოცოს, როცა მას ამცირებენ ეთნიკური წარმომავლობის გამო, როდესაც მას ჩაგრავენ სექსუალური ორიენტაციის გამო, როდესაც მას არასათანადოდ ეპყრობიან სამართალდამცველები, როცა მას დევნიან პოლიტიკური და სხვა ნიშნით, როცა მას უკანონოდ უსმენენ - ეს არის ძალიან მძიმე ფრაზები. გასაგებია, რომ თავში და ბოლოში ერთგვარად განეიტრალებული იყო ეს შეფასება, მაგრამ ადვილად გამოსაცნობი იყო ის, რომ მედია ამ ფრაზებს გამოიყენებდა ზუსტად ისე, როგორც გამოიყენა და ეს ფრაზები აქცია ე.წ. ჰედლაინებად, რომელიც მთლიანად არის აცდენილი დღევანდელ რეალობას და იმ სინამდვილეს, რომელიც დღეს არის ქვეყანაში", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, პრეზიდენტის მხრიდან საუბარი იყო სახიფათო და გამჭვირვალე პროცესებზე მედიაში, რაც ასევე მძიმე შეფასებაა. "საუბარი იყო იმაზე, რომ ხალხს ვართმევთ პრეზიდენტის არჩევის უფლებას, ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ ეს არ უნდა იყოს დღევანდელ ან მომავალ პრეზიდენტზე, ან დღევანდელ ან მომავალ პრემიერზე დამოკიდებული. ანუ აქ იყო მინიშნება ე.წ. არაფორმალურ მმართველობაზე, რომელსაც არანაირი მტკიცებულება ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ აქვს. და ბოლოს, ძალიან მძიმე ფრაზა იყო მრავალჯერ იმედგაცრუებულ ამომრჩეველზე, რაც შეეხება რეალობას, ამაზე მინდა ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ, რა თქმა უნდა ქართული რეალობა არ არის ისეთ ფერებში დახატული, როგორც მაგალითად შვეიცარიაში, რომელსაც მშპ ჩვენზე 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი აქვს, თუმცა ის სურათი, რაც დღეს იყო წარმოდგენილი, დღევანდელ სინამდვილეს არ შეესაბამება", - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია 10 აპრილიდან დაიწყება

10-დან 24 აპრილის ჩათვლით რეგისტრაცია შეეძლებათ მხოლოდ იმ კატეგორიის მოსწავლეებს, რომლის დაძმაც სწავლობს ამ სკოლაში, რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია და რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება მოხდება სკოლაში - 25 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით.

მეორე ეტაპი, საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 8 მაისს დაიწყება და 1-ლი ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის, საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. WWW.EMIS.GE

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეორე ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება მოხდება - 2 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

პირველ და მეორე ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

პირველკლასელთა რეგისტრაციის მესამე ეტაპი - 19 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით განხორციელდება. რეგისტრაცია მოხდება სკოლაში, მეორე ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი. 2017-2018 სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

მინი დოსიე: დაიბადა 1958 წლის 1 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. 1983 წელს დაამთვრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მიენიჭა ისტორიკოსის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნრეობის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1983-1985 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისის N71-ე პროფესიულ სასწავლებელში ისტორიის მასწავლებლად. 1985-1991 წლებში ნუგზარ პაპიაშვილი თბილისის N2 მუსიკალურ სასწავლებელში აგრძელებს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის პედაგოგად მუშაობას. 1991 წლიდან 1993 წლამდე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის დირექტორია, ხოლო 1994-1997 წლებში ამავე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე. 1997-2000 წლებში ის დედოფლისწყაროს გამგეობის საორგანიზაციო განყოფლებას ხელმძღვანელობს, რის შემდეგაც კვლავ პედაგოგიურ საქმიანობას უბრუნდება და 2000 წელს ქ.თბილისის N89-ე საჯარო სკოლის დირექტორად იწყებს მუშაობას, ხოლო 2007 წელს N193-ე საჯარო სკოლის დირექტორად. 2009 წლიდან 2012 წლამდე ის კვლავ მშობლიურ სოფელს ხელმძღვანელობს. 2013 წლის იანვრიდან ნუგზარ პაპიაშვილი კახეთის სატყეო სამმართველოს, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან 2014 წლის ივლისამდე გარემოს ზედამხედველობის კახეთის სამსახურის უფრისის პოსტებს იკავებს. 2014 წლის 14 ივლისიდან ნუგზარ პაპიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა, 2017 წლის 5 აპრილს კი ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

5 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის, ზვიად ჯავახიშვილის განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ .

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევა. ამ თანამდებობაზე საკრებულოს წევრებმა თავმჯდომარის მოადგილის, ნუგზარ პაპიაშვილის კანდიდატურა წამოაყენეს. სხდომაზე ნუგზარ პაპიაშვილის გარდა სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა საკრებულოს ოცდაოთხმა წევრმა მიიღო. შედეგების მიხედვით, 24 ხმით ნუგზარ პაპიაშვილი ერთხმად იქნა არჩეული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

თავმჯდომარის მოადგილეს წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები უახლოეს სხდომაზე აირჩევენ.

ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს

№	მუნიციპალიტეტი	ჩატარების თარიღი და დრო	ჩატარების ადგილი	კომენტარი
1	დედოფლისწყარო	13.04.2017 12-00 სთ-ზე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი (1 სართული)	შეხვედრა საჯარო სექტორთან
2		19.04.2017 12-00 სთ-ზე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი (1 სართული)	შეხვედრა ბიზნეს სექტორთან
3		27.04.2017 12-00 სთ-ზე	მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი (1 სართული)	შეხვედრა სამოქალაქო სექტორთან

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფართო ფენების და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვა, როგორც დოკუმენტის შემუშავების, ასევე შემუშავებული დოკუმენტის განხილვების ეტაპზე, რადგან თითოეულ მოქალაქეს თუ ორგანიზაციას, ერთნაირად ეკისრება მოვალეობა და პასუხისმგებლობა, მის საცხოვრებელ თუ სამუშაო/სამოქმედო არეალში მუნიციპალური ნარჩენებისგან გარემოს დაბინძურებაზე.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში, მიმდინარე წლიდან, ნაწილობრივ, უკვე ამოქმედდა ნარჩენების მართვის კოდექსი და საჯარიმო სანქციები. შემუშავდა ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმები, რომლის გაცნობაც სავალდებულოა მოსახლეობისთვის, რათა მოქალაქეები გაეცნონ ადგილობრივ სატარიფო სისტემას და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები მანამ, სანამ დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს და დასამტკიცებლად წარედგინება საკრებულოს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა გიწვევთ ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის განხილვაზე, წარმოდგენილი გეგმაგრაფიკის მიხედვით.

მოწევ - არ მოწევ? - საკითხავი აი ეს არის!

...როდესაც 1492 წელს კოლუმბი კუნძულ სან-სალვადორს მიადგა, ის და მისი თანამგზავრები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ: კუნძულის წითელკანიანი მკვიდრნი პირიდან და ნესტოებიდან კვამლის ბოლქვებს უშვებდნენ. საქმე იმაში იყო, რომ ინდიელებს რელიგიური დღესასწაული ჰქონდათ, რომლის დროსაც ისინი განსაკუთრებულ ბალახს ეწეოდნენ, ეწეოდნენ გონების დაკარგვამდე. ასეთ მდგომარეობაში ისინი კონტაქტში შედიოდნენ სულებთან და შემდეგ ჰყვებოდნენ, თუ რა ამცნო მათ „დიდმა სულმა“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეზღვაურებმა გააცნეს თანამემამულეთ ახალი „სიამოვნება“. ცოტა ხანში კი მთელ მსოფლიოს მოედო თამბაქოს წევის საყოველთაო ციებ-ცხელება.

მას შემდეგ იყო არაერთი მცდელობა, აღეკვეთათ ამ ბალახის მოხმარება, თუმცა სასჯელის მკაცრი ზომების მიუხედავად, ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფალთა მხრიდან...

ქრისტიანული ეკლესიის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ თამბაქო დემონების ბალახი იყო და საერო ხელისუფლებასთან ტანდემში ცდილობდნენ, მისგან დაეხსნათ მოსახლეობა.

1623 წელს პაპმა ურბან VIII- გამოსცა ბულა, რომლითაც ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა ყველას, ვინც თამბაქოს ეწეოდა ტაძარში; 1638 წელს, სპარსეთში ლაშქრობისას, იმ ჯარისკაცებს, რომელთაც თამბაქოს წევისას წაასწრებდნენ, ხმლით აჩეხვა, ჩამოხრჩობა ან ძელზე გასმა ელოდათ...შვეიცარიაში კი1661 წელს აპენელის მაგისტრანტმა თამბაქოთი ვაჭრობისათვის , როგორც თვით ღმერთის მიერ აკრძალული ცოდვისათვის, სასჯელის იგივე ზომა განსაძღვრა, რაც მკვლელობისთვის იყო დაწესებული.

მკაცრმა ზომებმა ვერ შეძლეს ახალი, მანამდე უცხო ხილისადმი მზარდი ლტოლვის შეჩერება. აკრძალული, იგი კიდევ უფრო ტკბილი ხდებოდა... და ეწეოდნენ ფარულად, რისთვისაც მიდიოდნენ ტყეებში, იმალებოდნენ სარდაფებში, და ეს გაგრძელდა მანამ, ვიდრე თავად ხელისუფალნი არ დანებდნენ...

საქართველოში თამბაქო მე-18 საუკუნეში გავრცელდა. ეს გახლდათ დაბალი ხარისხის წეკო. მეცხრამეტე საუკუნეში უკვე მასიურად შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში თამბაქო და როგორც ჩანს, ე.წ. ელიტურ წრეებში მან მალევე დაიმკვიდრა ადგილი. ის მოდური ტენდენციის ერთგვარ შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველოში არა მხოლოდ მამაკაცები იყვნენ მისი მომხმარებლები, არამედ ქალბატონებიც... მაღალი წრეებიდან თამბაქომ ხალხშიც გადაინაცვლა და ყველა ფენა მოიცვა. ბურნუთის მწეველი ქალბატონები თავს იმით იმართლებდნენ, რომ ის უამრავ დაავადებას კურნავდა, მათ შორის შაკიკსაც.

სიგარეტი დღემდე მოდაა საქართველოში. მახსოვს, ჩემი სტუდენტობის დროს ბევრი გოგონა მოწევას იმიტომ იწყებდა, „სვეტსკების“ წრეში რომ დაემკვიდრებინა თავი, პროვინციალობა დაემარცხებინა და „გოიმის“ იარლიყი მოეშორებინა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჯერ კიდევ მალულად ეწეოდა ბევრი გოგონა სიგარეტს, რადგან მისი მოხმარება მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ასოცირდებოდა...

კარგა ხანია, ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა საქართველოში, სიგარეტის მოხმარება უზნეობასთან კავშირში აღარაა, მაგრამ ის „მაღალი წრის სინდრომი“ უფროა, ვიდრე მავნე ჩვევა, ჩვევა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს აყენებს...

ხალხმრავალ ადგილებში სიგარეტის მოწევის აკრძალვის საკითხმა პარლამენტიდან სოციალურ სივრცეში, ანუ საზოგადოებაში გადაინაცვლა. რამდენიმე დღეა, გუგული მაღრაძის ინიციატივამ, რომელიც მთლიანად არამწეველთა ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, სოლიდარობის ნაცვლად აგრესია უფრო გამოიწვია. მართალია, საზოგადოების ტონი ცინიკურია და იუმორით გაჟღენთილი, მაგრამ დაუფარავი აგრესია მაინც იგრძნობა.

ოფიციალური სტატისტიკა მწეველთა რაოდენობის შესახებ არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში მათი რიცხვი საკმაოდ მაღალია და ის საზოგადოების 50%-ს მაინც შეადგენს. ამიტომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი უფლებებიც და სპეციალურ მოსაწევ ადგილებსა და ოთახებზეც უნდა ვიზრუნოთ. მით უფრო, როცა პრეტენზია გვაქვს, რომ ვართ ჰუმანური და განათლებული საზოგადოება.

ამიტომ საზოგადოებაში, სადაც სიგარეტის მოწევა მოდაცაა და გარკვეულ წრეში ინტეგრირების საშუალებაც, არა მგონია, მოწევის სრულად აკრძალვა რეალურად ამოქმედდეს, კანონის მიღების შემთხვევაშიც კი. და ეს მაშინ, როდესაც ისტორიის ფაქტებზე დაყრდნობით, თამბაქოს მოხმარებაზე უარი გაცილებით მკაცრმა სადამსჯელო ღონისძიებებმაც კი ვერ ათქმევინა კაცობრიობას...

ინგა შიოლაშვილი

თამბაქოს კონტროლის მექანიზმები და ხალხის აზრი...



მსოფლიოს ჯანდაცვის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, თამბაქოს მოწევა ადამიანის სხეულის თითქმის ყველა ორგანოს აზიანებს, ინვევს უამრავ დაავადებას, მათ შორის: გაფანტულ სკლეროზს, რევმატოიდულ ართრიტებს, სისხლძარღვების შევიწროებას, გულის შეტევებს, ინსულტებს, კიბოს (ძირითადად ფილტვის, საყლაპავის, პირის ღრუს), აზიანებს ადამიანის დეენემს, კიდევ სხვა უამრავ დაავადებას და საბოლოო ჯამში, სიგარეტში არსებული ნიკოტინი ისეთივე დამოკიდებულებას ინვევს,როგორსაც ჰეროინი ან სხვა მძიმე თუ მსუბუქი ნარკოტიკი.

მოწევაზე უარის თქმა ამცირებს არტერიულ წნევას, პულსის სიხშირეს და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დაავადების რისკებს, გვიყალიბებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახის აბსტინენციასთან ბრძოლა ურთულესია,მაგრამ, ყველაფერი შესაძლებელია, თუ გავიაზრებთ, რისთვის არის საჭირო მავნე ჩვევებზე გამარჯვება.

დახურულ შენობებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სტადიონებზე, კაფე-ბარებში, რესტორნებში, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და ნებისმიერ სხვა სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე, ბიბლიოთეკებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკებში, ბავშვთა გასართობ ცენტრებსა და 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ სხვა დაწესებულებებში მომავალი წლიდან მოწევა აიკრძალება. ახალ რეგულაციებს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს.

რედაქციამ არც ამჯერად დატოვა ბოლო დროის ეს მნიშვნელოვანი თემა ყურადღების მიღმა და ჩვენი რაიონის სხვადასხვა პროფესიის ერთგულ რესპოდენტებს შემდეგი კითხვებით მივმართეთ: **რა აზრის ხართ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ახალი რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა ხომ არ იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და კერძო ბიზნესის განვითარებაზე, რეალურად შეამცირებს თუ არა მწეველთა რიცხვს და რანდენად სასიკეთო იქნება კანონის ამოქმედება არამწეველი მოსახლეობისათვის?**

მაკა სულაშვილი, ჟურნალისტი- წარმოვიდგინოთ სიტუაცია: ვართ ღია ცის ქვეშ საბავშვო ღონისძიებაზე ან უბრალოდ პარკში. ეს არაა არც სააღმზრდელო და არც საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორია, სადაც კანონი ისედაც დიდი ხანია კრძალავს თამბაქოს მოხმარებას. ვიყენებ კანონით მონიჭებულ უფლებას და უამრავი მოზარდის თვალწინ ვეწევი სიგარეტს. და რადგან ვერ ვხვდები, ამით რამხელა ზიანს ვაყენებ მოზარდის ჯანმრთელობას ან რა მაგალითს ვაძლევ მას, ასეთ სიტუაციაში კანონმა მაინც უნდა შემაჩეროს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ მსგავს შემთხვევებს ხშირად შევსწრებივარ. ასეთი არაერთი ფაქტის და ადგილის დასახელებაა შესაძლებელი. ამით კი იმის თქმა მინდა, რომ გარკვეული რეგულაციების დაწესება და კანონის გამკაცრება აუცილებელია. საერთოდ, არ ვთვლი, რომ თამბაქოს გაძვირება და აკრძალვა ეფექტური მეთოდია მწეველთა რაოდენობის შესამცირებლად. დამიჯერეთ, ვისაც მოწევა უნდა, ის აუცილებლად გამონახავს საამისოდ მატერიალურ სახსრებსაც და შესაბამის ადგილსაც. თამბაქოს მოხმარების პრევენციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანიაა. ჩემი აზრით, სახელმწიფომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა გააკეთოს აქცენტები და თუნდაც აქციზით მიღებული ბონუსებიც ამ კამპანიას მოახმაროს. დარწმუნებული ვარ, ამ სფეროში ჩემზე გამოცდილი მრჩევლები ჰყავთ და უკეთესად განსაზღვრავენ თამბაქოს მოხმარების შემცირების კამპანიას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მათ მწეველთა ინტერესებიც უნდა გაითვალისწინონ. პირველ რიგში იმიტომ, რომ მკაცრი აკრძალვა გამოიწვევს მათ პროტესტს და ასევე იმიტომ, რომ ეს დაკავშირებული იქნება ეკონომიკურ რისკ-ფაქტორებთანაც. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და შესაძლოა, საერთო გამოსავალიც ჰქონდეთ. კერძოდ, მწეველთათვის სპეციალური ადგილების გამოყოფა კაფეებში, რესტორნებში, დასასვენებელ პარკებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, დაიცავს მათ უფლებებსაც და ამ დაწესებულებების მესაკუთრეთა ინტერესებსაც, ჩემი აზრით, გარდაუვალი ეკონომიკური რისკებისგან. კიდევ ერთ პრობლემას შევეხები: რამდენ არასრულწლოვანს უყიდია თქვენს თვალწინ სიგარეტი ან რამდენ მწეველს შემოუბოლებია თქვენთვის საზოგადოებრივ ტრანსპორტში? თუ მიპასუხებთ, რომ არცერთს, თქვენ არ ხართ გულწრფელი. ამ მიმართულებით კანონი ჯერ კიდევ წლების წინ გამკაცრდა, მაგრამ მისი სრული დაცვა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება. იცით, რატომ? ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებაშია. დიახ, თუ საზოგადოებამ არ შეუწყო ხელი კანონის განხორციელებას, მხოლოდ ხელისუფლება ვერ შეძლებს ამას, როგორი ნება და მონდომებაც არ უნდა ჰქონდეს მას. მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლება კი , თავის მხრივ, ისევ ხელისუფლების პრეროგატივაა. მაგრამ მხოლოდ „წვრთნა“ ამ ამბავს ვერ უშველის... და ბოლოს, რადგან დღეს ეს თემა აქტუალურია, რადგან იწერება კანონები, მუშავდება პროპაგანდისტული სტრატეგია , ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან არსებობს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და მათ მომავალზე ზრუნვის სურვილი და მონდომება. ჩვენ, რიგით მოქალაქეებს , ამ მისიაში მნიშვნელოვანი როლი გაგვაჩნია. ეს როლი კი მოქალაქეობრივ თვითშეგნებასა და კანონმორჩილებაშია.

მირანდა ბაკურაძე, ფსიქოლოგი-სადაც ბავშვები არიან და არამარტო ბავშვები, ვინც არ ეწევა და ვისაც აღიზიანებს სიგარეტის კვამლი, არ უნდა ეწეოდეს არავინ,

ხოლო რაც შეეხება თამბაქოს მოხმარების შემცირებას, ძალიან უმნიშვნელო პროცენტით შეიძლება შემცირდეს ან სულაც პირიქით, აქამდე თუ საზოგადოებისაგან მალულად ეწეოდა ბევრი, ახლა აღარ დაიმალება და ქუჩაშიც შეიძლება მოწიონ(ქალებზე მაქვს საუბარი).

რეგულაციები აუცილებლად საჭიროა და ნამდვილად ვეთანხმები. ხომ ყველამ კარგად ვიცით,რომ ნიკოტინი ძალიან საშიშია ჯანმრთელობისათვის, შარშანდელი მონაცემების თანახმად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დადო დასკვნა, რომ ფილტვის კიბოთი დაილუპა 1 820 000 ადამიანი(60 % სიგარეტის მწეველი და პასიური მწეველი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა მიზეზებით.) თამბაქოს მოწევა ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია, რომელიც ფილტვის და სხვადასხვა სახის კიბოთი დაავადებებს იწვევს.

დიმიტრი ყოჩიაშვილი, ოტორინოლარინგოლოგი - მე,როგორც ექიმი, სრულებით ვემხრობი საზოგაროებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევის სრულად აკრძალვას! აქ ეკონომიკური ფაქტორები მეორეხარისხოვანია,როდესაც საქმე ადამიანებისა და მით უმეტეს-ბავშვების სიცოცხლეს ეხება! პირველ რიგში, როდესაც ადამიანი ეწევა, მისი ფილტვები ნაგვიანდება იმ სიბინძურით, რასაც სიგარეტის ბოლი შეიცავს: კუპრი, ნიკოტინი, ნახშირბადის მჟავა და ა.შ. ნიკოტინი ფილტვებიდან უსწრაფესად გადადის სისხლში და აღწევს თავის ტვინს, მსოფლიოში უამრავი ადამიანი ილუპება ნიკოტინით გამოწვეული ფილტვის კიბოს გამო. სტატისტიკის მიხედვით მკვეთრად გაიზარდა მწეველ ქალთა რაოდენობა საქართველოში, რაც კიდევ უფრო საგანგაშოა! ეს კანონი (თუ იგი აღსრულდა!) ნამდვილად მოუტანს სიკეთეს არამწეველებს ,რადგანაც მათაც აქვთ უფლება, ისუნთქონ სუფთა ჰაერი! ევროპისა და ამერიკის ბევრ რესტორანსა თუ საზოგადოებრივი კვების ობიექტში, სრულად აკრძალულია სიგარეტის მოწევა(ამისთვის არსებობს სპეციალურად გამოყოფილი ადგილები).მე ვფიქრობ, ეს კანონი დადებითად იმოქმედებს იმ ადამიანებზე, რომლებიც არ არიან თამბაქოს აქტიური მომხმარებლები, ვფიქრობ, მწეველთა რაოდენობა მცირედით მაინც შემცირდება. მე,როგორც ექიმი, ვურჩევ აქტიურ მწეველებს-სიცოცხლე მშვენიერია და ნუ შეიმოკლებენ ნიკოტინის გამო!!!

ლევან ლატარია – მიკრო საკრედიტო ექსპერტი-საქართველოში მწეველთა სტატისტიკა საგანგაშოა. მოსახლეობის 1/3 მწეველია და ეს სტატისტიკა წლიდან წლამდე იზრდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ქალები აქტიურობენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს 20 წელიწადში მწეველთა რაოდენობით ქალები და მამაკაცები ერთმანეთს გაუტოლდებიან.

სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია თამბაქოზე უეცარი ფასის ზრდა, რაც კარგ შედეგს იძლევა და მწეველთა რაოდენობას ამცირებს.

თამბაქოზე ფასის ზრდა განსაკუთრებით დამწყებ მწეველებს აშინებთ და უმეტესი მათგანი მალევე ანებებს თავს თამბაქოს მოხმარებას.

მისასალმებელი ფაქტია მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც დახურულ სივრცეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარებას კრძალავს.

სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, იმ ბავშვების 80%, რომელნიც მწეველთა ოჯახებში იზრდებიან, მოგვიანებით თავადვე იწყებენ მის მოხმარებას,

ამიტომ ფასების ზრდა და თამბაქოს მოხმარების არეალის შეზღუდვა საკმაოდ დადებით შედეგებს მოგვიტანს და ახალგაზრდების უმეტესობას მისცემს იმის სტიმულს, რომ ჯანსაღად იცხოვრონ.

კაფე-ბარებმა და რესტორნებმა საწყის ეტაპზე შესაძლოა ფინანსური ზარალი ნახონ, თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოება შეეჩვევა ამ ცვლილებას და სიტუაციაც დაბალანსდება.

მალხაზ ფიროსმანაშვილი, მშენებელ-ინჟინერი - „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებით, ჩემი აზრით, მწეველთა რიცხვი არ შემცირდება... თავი ბევრჯერ წარმომიდგენია არამწევლის ადგილზე და ვცდილობ, არ ვავნო მათ. ოთახში, საკუთარ სახლშიც არ ვეწევი, ეს ჩემთვის პრობლემას არც ისე წარმოადგენდა, მაგრამ, რა ქნან დანარჩენმა მწეველებმა, რომელთაც ეს შეზღუდვა მოწევას ვერ გადააჩვევს და ისინი, ჩემსავით არც არასდროს აწუხებდნენ სხვა არამწეველ საზოგადოებას? ეკონომიკური რისკ-ფაქტორები მეორეხარისხოვანია,მთავარია, თანაბარ პირობებში გავუფრთხილდეთ მწეველებსაც და არამწეველებსაც, არ დაირღვას მათი ადამიანური უფლებები.

ძვირფასო მკითხველო, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ახალი რეგულაციების ძალაში შესვლა 2018 წლის 1 იანვრიდან იგეგმება. კანონი მთავრობის სტრატეგიაა და საზოგადოების აზრთან შესაბამისობაში,როგორც ჩვენი გამოკითხვებიდანაც ჩანს, ჯერ ბოლომდე არ მოდის. ვნახოთ,დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და იმ შესაძლო დადებით თუ უარყოფით რისკებს, რომელიც ამ კანონის ძალაში შესვლას მოჰყვება.

ელზა ხარაშვილი

„ღირსი არ ვარ ამ სამკაულების ტარებისა, რადგან მათ გამო მოწყალების გაცემა ვერ შევძელი“

თამარ მეფე განსაკუთრებული წმინდანი და უდიდესი მოღვაწეა. როდესაც საქართველოს მტერი თვს ესხმოდა, დიდი თამარი მონასტერს მიაშურებდა და საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის ლოცულობდა. იგი ქართველთა ჯარს წინ ფეხშიშველი, ჯვრით ხელში მიუძღვოდა. უფალს ავედრებდა მეომრებს, დალოცავდა და უკან სასახლეში კი არ ბრუნდებოდა, კვლავ მონასტერში მიდიოდა და დღედაღამ ლოცვაში ატარებდა, ცრემლებით უფალს შეჰღაღადებდა, ვიდრე ჯარი შინ გამარჯვებული დაბრუნდებოდა.

მინდა ერთი შემთხვევა გაგაცნოთ მისი ცხოვრებიდან-ერთხელ თამარ მეფე მონასტერში ღვთისმსახურებაზე წასასვლელად ემზადებოდა და მსახურნი მას მოსავდნენ და ამკობდნენ. ამ დროს, როდესაც დიდ თამარს სამეფო სამოსზე მშვენიერ ლალებს უმაგრებდნენ, მეფეს ამცნეს, რომ კარზე მათხოვარი მოსულიყო და მოწყალებას ითხოვდა. თასმარმა ბრძანა, ცოტა ხანს დაეცადა, ვიდრე შეიმოსებოდა და შემდეგ თავად გადასცემდა მას მოწყალებას. როდესაც თამარ მეფეს სამკაულები შეაბეს- მსახურებს უბრძანა, მათხოვრისათვის მოეხმოთ, მაგრამ მეფეს მოახსენეს, რომ იგი ვეღარსად იპოვეს. თამარი ძლიერ დამწუხრდა. იმ დღეს მონასტერში რომ მიბრძანდა,თავისი ძვირფასი ლალის სამკაულები მოიხსნა და ყოვლადწმინდა ღვთისმსობლის ხატს შესწირა, თან ეს სიტყვები დაურთო: „ღირსი არ ვარ ამ სამკაულების ტარებისა, რადგან მათ გამო მოწყალების გაცემა ვერ შევძელი“.

იქ, სადაც სინანულია, აუცილებლად მოწყალებაცაა, აუცილბლად ღვთის შენდობაა.

პუბლიკაცია მოამზადა
ნანა ჭიჭინაძემ

ქალია ცხოვრების საწყისი

დედოფლისწყაროს კულტურის სახლის შესასვლელში წითელი ხალიჩაა გაშლილი. მოსულ სტუმრებს და ხალიჩაზე გამვლელებს წითელი ტიტებით სავსე კალათიდან ყვავილებს სტუდია არლეკონოს გოგონები და თავად კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები ჩუქნიან. საღამოს მთავარი მასპინძელი ცენტრის დირექტორი ნონა ჯიბღაშვილია, რომელიც თბილად ეგებება თითოეულ სტუმარს. ამ პატივით და ამაღლებული განწყობით შევდივართ დარბაზში, სადაც ასეთივე ტიტებით მორთული სცენა და ფარდა გვხვდება. ბარათზე რომელიც ტიტასთან ერთად მოგვართვეს, წერია: „ძვირფასო ქალბატონებო! გაზაფხულის მზესავით თბილი, სიხარულით და სილამაზით სავსე იყოს თქვენი ცხოვრება!“ -ამ სიტყვების ავტორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაა.

ფარდა იხსნება და სცენაზეა დედოფლისწყაროს ლეგენდარული წამყვანი, შეუდარებელი დეკლამატორი, რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო სახე, ქალბატონი ცარო მარტიაშვილი. ძნელია, გულგრილად მოუსმინო ქალბატონი ცაროს თითოეულ სტრიქონს. ამჯერადაც გულში ჩამწვდომია მისი სიტყვები:

„ქალია ყველაფრის თავი და თავი,
ქალია ცხოვრების მთავარი აზრი,
ქალია სიცოცხლე, ქალია დარდი,
ქალია ამქვეყნად ყველაზე კარგი,
ქალია სანთელი, ქალია ბანგი,
ქალია ეკალში გაშლილი ვარდი.
ქალია მტანჯველი, ქალია მარტი,
ქალია კაცების მთავარი განძი,
ქალია ოცნება, ქალია აღი,
ქალია ვულკანი, ცეცხლი და ქარი,
ქალია ყველაფრის თავი და თავი,
ქალია მთავარი, ქალია, ქალი.“

-„მოგესალმებით უძვირფასესო ქალბატონებო! გილოცავთ თქვენით შთაგონებულ მარტის დღესასწაულებს, გაზაფხულივით ლამაზი, გიჟმაჟი და ხალისიანი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. სითბო და სიკეთე დაგბედებოდეთ სამარადჟამოდ!-ხსნის საღამოს ქალბატონი ცარო და იქვე დასძენს,- „V საუკუნე... იაკობ ცურტაველი, იტყვის: „ოდეს ყოფილა არს აქამომდე, რომე დედათა და მამათა ერთად ეჭამოთ პური“, გაივლის ათასწლეულები და რუსთაველი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“ დღეს ჩვენი დღეა, ძვირფასო ქალბატონებო, ლამაზი და სასიამოვნო საღამოს გატარებას გისურვებთ.“ - ამბობს ქალბატონი ცარო და სცენაზე უხმობს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქს“ (ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) რომელმაც შეასრულა ცეკვა „ნარნარი“.

სცენას იპყრობენ უამრავი ფესტივალის ლაურეატები, გრან-პრის და სხვადასხვა ხარისხის მედლების მფლობელი ლიკა, მარიამ და ანა ლოლაშვილები. ანსამბლმა „შირქამა“ კვლავ შასრულა ცეკვა, ამჯერად „ქალთა ხევსურული“, რომელმაც მაყურებელს ძარღვებში სისხლი აუჩქროლა.

სცენაზე სტუდია „არლეკონოს“ აღსაზრდელები გაზაფხულის ენძელებივით მოეფინნენ და ელენე ღვინიაშვილის და მალვინა ისმაილოვას მიერ შესრულებულ სიმღერის თანხლებით ლამაზად იცეკვეს.

მისასალმებელია, რომ კულტურის ცენტრში ახალგაზრდებს შეუძლიათ უკვე მრავალმხრივი მიმართულებით განვითარდნენ და ამით რაიონის კულტურული ცხოვრება ბევრად გაამრავალფეროვნონ. უკვე ერთი წელია, კულტურის ცენტრში ჩამოყალიბდა სამეჯლისო ცეკვების წრე (ხელმძღვანელი ხვიჩა ალადაშვილი) და დედოფლისწყაროს ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, აითვისონ ევროპული სასცენო ცეკვები. ღონისძიებაზე „ქალია ყველაფრის საწყისი“ სწორედ ამ ცეკვების აფიშირებასაც გაესვა ხაზი და ჩვენ მოგვეცა საშუალება, გვეხილა მათი რამდენიმეთვიანი შრომის შედეგი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ლამაზი სამეჯლისო ცეკვის ნომრებმა გოგონების შესრულებით, მაყურებელში დიდი მოწონება და ოვაციები გამოიწვია.

მალვინა ისმაილოვას მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებულმა ვაჟა აზარაშვილის სენტიმენტალურმა ტანგომ, ვიოლინოზე აკომპანიატორი გახლდათ რაიონში შუდარებელი საფორტეპიანო შემსრულებელი ქალბატონი თამილა ნადირაშვილი.

სცენაზე სიმღერით „მეგობრებმა დაგვიბარეს“ გამოვიდა ანა ტატიშვილი და საკმაოდ კარგი ვოკალური შესაძლებლობა აჩვენა, მის სიმღერაზე კი, ცეკვა შეასრულეს ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა.

ღონისძიებაზე შედგა დებიუტიც, ექიმ დიმიტრი ყოჩიაშვილის სამი გოგონა სცენაზე დალი ელისაშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა. მოიწონა მაყურებელმა და დადებითი ემოციებით შეაფასა. დები ყოჩიაშვილების მუსიკალურ- ვოკალური შესაძლებლობა იძლევა პროგნოზს, რომ მათ წინ დიდი მომავალი ელით.

ახალი ხედვა და ახლებური ცეკვის მიმდინარეობა დაგვანახეს სოფელ ზემო მაჩხაანის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა,(ხელმძღვანელი თამაზ ღვალაძე) მათმა გოგონებმა თანამედროვე სტილში შეასრულეს ცეკვა „ხორუმი.“

ყოველი ადამიანისთვის და განსაკუთღებით ქალებისთვის ყველაზე დიდი ტკივილი დაცლილი სოფლები და რა თქმა უნდა სისხლისმღვრელი ომებია. „ჩვენი ტკივილია“ – ასე ერქვა ლიტერატურულ მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონმა“ წარმოგვიდგინა.

„ბერიკონის“ გამოსვლას მოჰყვა კავკასიური პოპური კვლავ ზემო მაჩხაანელი გოგონების შესრულებით.

დასასრულს ვოკალურმა კვარტეტმა და კვინტეტმა შეასრულეს ქალაქური საესტრადო სიმღერები(ხელმძღანელი ნინო ნიკვაშვილი) რამაც მაყურებელს კიდევ უფრო ამაღლებული განწყობა დაუტოვა. დასასრულს სცენაზე ავიდა კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ნონა ჯიბღაშვილი, რომელმაც სცენაზე მოიხმო რაიონის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა დედოფლისწყაროს ქალბატონებს ქალთა დღესასწაულები, უსურვა მათ ყოველივე საუკეთესო და მათთან ერთად გაზაფხულის დღეები მიულოცა საკუთარ დედას, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა. ღონისძიების დასასრულს სცენაზე ავიდნენ სტუდია „არლეკონოს“ აღსაზრდელები და ყველა მონაწილე გოგონა, რომლებსაც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გადასცა ყვავილები.

სასიამოვნო საღამო იყო, ლამაზი გაფორმებით, საუკეთესო ემოციებით და ერთმანეთის სიყვარულით აღსავსე.

ლალი მეხრიშვილი

პროექტი ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოს“ მხარდაჭერით.

დედოფლისწყაროს ბუნებას გაფრთხილება სჭირდება

4 აპრილს გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ ბაგრატია სააგენტოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროს ეწვია.

მათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად დაათვალიერეს შირაქში გაშენებული ქარსაფარი ზოლი. ასევე, ქ.დედოფლისწყაროში რამდენიმე ადგილას სპეციალური აპარატურის მეშვეობით გაზომეს ჰაერის დაბინძურების, ხმაურის ხარისხი და ელექტრომაგნიტური გამოსხივების დონე. როგორც გარემოსდამცველებმა აღნიშნეს, ქალაქ დედოფლისწყაროში ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის, ასევე რადიაციის დონე დასაშვებ ზღვარს არ აღემატება. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი გაესაუბრნენ მოსახლეობას, რომლებმაც განაცხადეს, რომ „დედოფლისწყაროში ჰაერი კარგია, მაგრამ წყლის ხარისხია დასაფიქრებელი“.

სტუმრები ე.წ. ბურღის წყალს ეწვივნენ, დააგემოვნეს წყლის სინჯებიც აიღეს, რომლის შედეგებიც უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ქოჩების ტბის მდგომარეობითაც დაინტერესდნენ და ტბის წყლის სინჯები აიღეს ლაბორატორიული კვლევისთვის მისი შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით.

მათი ვიზიტის მიზანი იყო აა(ი)პ „დედოფლისწყაროს ქალების“ პროექტის - “ქალები სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარება.

ამ დღის შეფასება ვთხოვეთ პროექტის ხელმძღვანელს ლალი მეხრიშვილს:„პროექტი „ქალები სუფთა გარემოსთვის“ „ქალთა ფონდი საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება და ის ითვალისწინებს კიდევ ერთხელ წინ წამოვწიოთ, საზოგადოებას და თვითმმართველობას შევახსენოთ ის მწვავე პრობლემები, რაც დედოფლისწყაროში ეკოლოგიური კუთხით დგას.

დედოფლისწყაროში სამი დიდი პრობლემა არსებობს, ეს გახლავთ სასმელი წყლის ვარგისიანობა, ქოჩების ტბის დაშრობის საგანგაშო სიტუაცია და შირაქის ველებზე ადამიანის ხელყოფის შდეგად ქარსაფარი ზოლების თვითნებური განადგურება, წვა და ჭრა.

პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის“ მიზანია, გავაძლიეროთ მონიტორინგი ზემოთნახსენებ პრობლემებზე, გავააქტიუროთ საზოგადოების და თვითმმართველობის ჩართულობა ბუნების შენარჩუნებისთვის. ამ მხრივ დაგეგმილი გვაქვს შემეცნებითი ტრენინგები გარემოსდაცვის კუთხით, დასუფთავების აქციები და გამოფენები გარემოსდაცვის თემაზე. 4 აპრილს დედამიწის დღეზე, ჩვენ სიმბოლურად მოვაწყეთ გასვლითი ღონისძიება მოწყვლად ადგილებში. ეს გახლდათ ქოჩების ტბის დათვალიერება, ბურღის წყლის ტერიტორიის მონახულება, და ასევე მოვინახულეთ ახლადგაშენებული ქარსაფარი ზოლი შირაქის ტერიტორიაზე. ჩვენი სტუმარი გახლდათ გარემოს დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ ბაგრატია, რომელიც გეოლოგების და ლაბორანტების თანხლებით გვესტუმრა. მათ მოახდინეს გარემოს დაბინძურების მონიტორინგი და სპეციალური აპარატურით შეამოწმეს დედოფლისწყაროს ჰაერის, მტვრის, ელექტრული სიხშირის და ხმაურის მონიტორინგი, ასევე წაიღეს წყლების სინჯები. ზემოჩამოთვლილი

მონიტორინგი მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ როგორც დედოფლისწყაროს მოსახლეობის გარემოს უსაფრთხოების კუთხით, ასევე ჩვენი პროექტის ფარგლებში ნაყოფიერი მუშაობისთვის. საკმაოდ საინტერესო დღე იყო და იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალშიც საინტერესო შეხვედრები გველის.“

ინგა შიოლაშვილი

კიდევ ერთი წარმატება

ქალაქ თბილისში გაიმართა „შავი ზღვის ქვეყნების თასის“ ტურნირი ძალისმიერ სამჭიდში. ტურნირის ორგანიზატორი ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანების (IPSV) ფედერცია იყო.ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის და სომხეთის გუნდები და კლუბები. ტურნირი ორ დღეს გრძელდებოდა. პირველ დღეს ჩატარდა შეჯიბრი ორჭიდის და სამჭიდის დისციპლინებში, ხოლო მეორე დღეს – ჟიმი და ამოწევა. ჩაჯდომი და ბიცეფსი ამ ტურნირზე, როგორც ცალკე დისციპლინა, ამოღებული იყო დღის წესრიგიდან. ამ დიდ ტურნირში მონაწილეობდა დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდიც, რომელსაც წვრთნის მიხეილ სეხნიაშვილი.

„ამ გუნდმა, წინა ტურნირზე გუნდური I ადგილი დაიკავა. მათ 19 პირველი და 3 მეორე ადგილით და საქართველოს 10 ჩემპიონით ასახელეს მშობლიური რაიონი. ახლაც ღირსეულად იასპარეზეს ბიჭებმა მიუხედავად იმისა,რომ გუნდი განახევრებული შემადგენლობით გავიდა. მათ გუნდური I-II ადგილები გაიყვეს საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, რომლის წარმომადგენლებიც (20 სპორტსმენი) უკვე მრავალი წელია, პროფესიონალურად ვარჯიშობენ. კვლავ გაგვახარა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. მათ I ადგილი დაიკავეს, რაც ახალბედა გუნდისთვის ნამდვილად კარგი შედეგია. რაიონის ნაკრებმა მინიმუმ რვა პირველი ადგილი დაკარგა იმის გამო, რომ შეჯიბრზე ვერ წავიდნენ და ვერ იასპარეზეს ისეთმა ძლიერმა სპორტსმენებმა, როგორებიც არიან: გიორგი ქართველიშვილი, ილო ლაპიაშვილი, ვასიკო ჩივაძე, გიორგი ხუციშვილი, მიშიკო აკიმენკო, ნიკა ბენაშვილი, გია შაშვიაშვილი. ისინი ყველანი საქართველოს ჩემპიონები, ტურნირის გამარჯვებულები არიან და ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ.

კვლავ მაღალი შედეგები აქვთ უმცროსებს და ჭაბუკებს 18 წლამდე. გამორჩეულად იასპარეზა 12 წლის ნუკრი ქოზაშვილმა, რომელიც 39 კგ-ს იწონის, მაგრამ 44/52 კგ წონით კატეგორიაში გამოდის. მან ორი პირველი ადგილი მოიპოვა – ჟიმში (60კგ) და ამოწევაში (87,5კგ). ეს მსოფლიო რეზულტატებია. ამ ახალბედა სპორტსმენს დიდი პოტენციალი აქვს და მას გამორჩეულად სჭირდება ყურადღება და მხარში დგომა. ნუკრიმ ოთხივე მოწინააღმდეგე დიდი უპირატესობით დაამარცხა და დაამტკიცა, რომ ბადალი არ ჰყავს თავის ასაკსა და წონით კატეგორიაში. ამავე კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა 10 წლის ანრი ყარაულაშვილი ჟიმი (38 კგ) და მესამე ადგილი დაიკავა 10 წლის ლადო ტუხაშვილმა – ჟიმი 36კგ. 13-15 წლიანთა კატეგორიაში იასპარეზეს ზურა ნიპომიშევმა, რომელმაც ორი პირველი ადგილი მოიპოვა (ჟიმი-45კგ და ამოწევა–75 კგ) და გიორგი გულაშვილმა – II ადგილი (ამოწევა 62,5კგ). ტოლი არავის დაუდვეს მოზარდებმაც (15-18 წელი). 15 წლის ოთარ გავაშელიშვილმა ჟიმში 80 კგ, ხოლო ამოწევაში 135კგ აჩვენა. მას მეტი შესაძლებლობაც აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ტრამვირებული იყო. ორი პირველი ადგილი 16 წლის ილო მოსეშვილმაც მოიპოვა (ჟიმი 85 კგ და ამოწევა 125კგ). ღირსეულად დაიცვა ჩემპიონის ტიტული. 17 წლის ბესიკ ყოჩიაშვილმა – 63 კგ (ჟიმი - 85კგ და ამოწევა 125კგ) და ორი პირველი ადგილი დაიმსახურა. პირველი ადგილი ხვდა წილად ჟიმში (125კგ) 20 წლის გიორგი ხუციშვილს.

უფროსებში გვასახელა ჩვენმა თანამოქალაქემ ქამილან ისმაილოვმა. მან ორი პირველი ადგილი დაიკავა (ჟმი-100კგ. და ამოწევა-170კგ). მას მეტი რეზერვი აქვს და დაამტკიცებს, ალბათ, თავის შესაძლებლობებს ეფროპის ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება თურქეთის ქალაქ სტამბოლში 29-30 აპრილს, სადაც ეს გუნდი საქართველოს 25 კაციან ნაკრებში, მინიმუმ, 8 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

კვლავ გვინდა მივმართოთ რაიონის ფერმერებს, ბიზნესმენებს, დაეხმარონ გუნდს, რათა მათი გამგზავრება ევროპის ჩემპიონატზე რეალურად გახდეს შესაძლებელი. ამასთან, სპორტსმენებს შეექმნათ ვარჯიშისთვის სათანადო პირობები. მართალია, რაიონის ხელმძღვანელობა, კერძოდ გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ ხუმარაშვილი, აგრეთვე ფედერაციის ხელმძღვანელობა შესაძლებლობის ფარგლებში მხარში უდგას გუნდს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა და იქ ასპარეზობა ასე მარტივი არ არის.

მე როგორც მწვრთნელი, ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩამოვაყალიბო ტრადიციული გუნდი ძალისმიერ სამჭიდში და დავუმტკიცოთ მთელ მსოფლიოს რომ ქიზიყში ისევ იბადებიან ღირსეული გმირები და ლომის ბოკვერები, როგორებიც იყვნენ წინა საუკუნეებში... ამაყები და უბატონოები...

მიხეილ სეხნიაშვილი

ჩემპიონის წოდებით დაგვიბრუნდნენ

25 მარტს თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში (MMA). ამ ტურნირზე დედოფლისწყაროს გუნდიდან (დედოფლისწყაროს უშუს გუნდი) ორი მებრძოლი იღებდა მონაწილეობას: ლუკა პოპიაშვილი და ნიკა გლახოშვილი.

საყურადღებოა, რომ ორივე სპორტსმენმა დამაჯერებელი გამარჯვებით პირველივე რაუნდებში დაასრულა ბრძოლები. ლუკა პოპიაშვილმა აჩვენა თავისი მომზადება და ძლიერი დარტყმებით აზერბაიჯანელი მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩააგდო.

თავი გამოიჩინა ასევე ნიკა გლახოშვილმა. მან აზერბაიჯანელი მოწინააღმდეგე მახრჩობელა ილეთით გამოთიშა ასპარეზობას და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. ასე დაეუფლნენ ჩვენი სპორტსმენები ჩემპიონის ტიტულს.

როგორ დავტენოთ ტელეფონი საკუთარი ენერგიით? – ქართველი ბიჭების გამოგონილი სამაჯური, ქამარი, ჩაფხუტი და კეპი ელექტროგენერატორით

„ჩვენ ადამიანის ენერგიას ვიყენებთ, რომელიც აქამდე ტყუილად იხარჯებოდა...“

16 წლის ამირან აფციაურისა და 15 წლის გიორგი შელეგიას ერთობლივმა გამოგონებებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი მოწონება დაიმსახურა. როგორც გვითხრეს, დიდ ჰონორარსაც სთავაზობდნენ, თუ გამოგონებას ერთი ქვეყნის სახელით წარადგენდნენ.

გიორგი შელეგია: - ჩვენი პირველი გამოგონება იყო პორტატიული ელექტროგენერატორი სამაჯურში. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ხელის უნებლიე მოძრაობით წარმოქმნას ენერგია, რომელიც აკუმულირდება და USB-პორტის მეშვეობით, მუხტავს ტელეფონს, პლანშეტსა და სხვა გაჯეტებს. ამ გამოგონებისთვის „ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსზე მესამე ადგილზე გავედით. გავხდით intel-ის სპეციალური პრიზის მფლობელებიც და კონკურსზეც მიგვიწვიეს. Intel ISEF-ი ახალგაზრდა მეცნიერთა პროექტების საერთაშორისო კონკურსია, რომლის შესარჩევი ტური მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 7 მილიონ სკოლაში ჩატარდა. Intel ISEF-2016 ამერიკაში, ფენიქსში გაიმართა და მონაწილეობდა 75 ქვეყნის 1.800-მდე მეცნიერ-გამომგონებელი, 800 განსხვავებული პროექტით. საქართველოს სახელით „ლეონარდო და ვინჩის“ კონკურსის გამარჯვებულები მონაწილეობდნენ...

– სულ რამდენი გამოგონება გაქვთ?

ამირან აფციაური: - ხუთი... პირველი სამაჯური და ქამარი იყო. თუ ადამიანი ორივეს ერთდროულად ატარებს, სიარულის დროს ელექტროენერგიის გენერირებას ახდენს და შეგროვებული ენერგიით ტელეფონის დამუხტვა შეუძლია. მოძრაობას არ აფერხებს, ხელს არაფერში უშლის და ლამაზი აქსესუარიცაა. ჩვენ ადამიანის ენერგიას ვიყენებთ, რომელიც აქამდე ტყუილად იხარჯებოდა...

მეორე გამოგონებაა ყუთი, რომელიც ასევე ნებისმიერ ვიბრაციაზე იტენება.

მესამე და მეოთხე გამოგონებებია ჩაფხუტი და კეპი, რომლებსაც ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლიათ...

ჩაფხუტს სამი რეჟიმი აქვს: მაგალითად, ცეცხლთან დადებ და ტელეფონი დაიტენება, მეორე რეჟიმით, თავიდან გამოყოფილი სითბო ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მესამე რეჟიმით კი, ჩაფხუტში დამონტაჟებული მაცივარი ირთვება და სიცხეში თავს აგრილებს... ჩვენი ჩაფხუტით ერთ-ერთი ქვეყანა დაინტერესდა, ჯარისთვის სურდათ. დიდ ჰონორარს გვთავაზობდნენ, მაგრამ ჩვენ ჩვენი სამშობლოს პატრიოტები ვართ.

გიორგი შელეგია: - ჩვენი ბოლო გამოგონებაა ფანჯრის ჩარჩო, რომელიც სიცივისა და სითბოსგან ელექტროენერგიას გამოიმუშავებს... შეგვიძლია ჩავრთოთ ლეპტოპი, მაცივარი, მიკროტალღური ღუმელი, ავანთოთ შუქი, დავტენოთ ტელეფონი და ასე შემდეგ. დიდ სხვაობას იძლევა ელექტროენერგიის მოხმარების დროს და კარგი იქნება, თუ დაინერგება.

– როგორც ვიცი, ოქსფორდში მიგიწვიეს...

– საზაფხულო სკოლამ მიგვიწვია... ჩვენ განსაკუთრებული პირობით შემოგვთავაზეს საზაფხულო კურსის გავლა სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში. თუ დაფინანსება იქნება, ნიუ-იორკში ვგეგმავთ წასვლას.

ამირან აფციაური: - ვგეგმავდით გაგვეკეთებინა საიტი „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“, სადაც უცხოურიდან თარგმნილი მეცნიერული სიახლეები განთავსდებოდა... როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას გეგმა გავაცანით, თანადგომას დაგვპირდნენ, შემდეგ კი გვაცნობეს, სახსრების სიმცირის გამო ვერ დაგეხმარებით, თავად ვგეგმავთ მსგავსის გაკეთებას და თუ გსურთ, ჩვენთან ითანამშრომლეთო...

პროექტი „აღმოაჩინე ქართულად“ ჩვენი ახალი წამოწყებაა. საქართველოში ბევრი ვერ ფლობს ინგლისურს სამეცნიერო დონეზე და ვერ ახერხებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას. ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა გადაწყვიტა, დაიწყოს მუშაობა ისეთ პროექტზე, რომელიც ყველა ბავშვს საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად გამოიყენოს ის რესურსი, რომელსაც წარმოადგენს ტექნოპარკი და ფაბლაბი, და დაებადოს მეტი ინოვაციური იდეა. ამისათვის შევქმენით ვებგვერდი www.inncheck.webs.com.

– როგორია თქვენი გეგმები?

გიორგი შელეგია: – უკვე არსებული პროექტების დამუშავებას ვგეგმავთ. როცა ყველაფერი მზად გვექნება, ახალ გამოგონებებზე ვიფიქრებთ. ნიჭიერი მოზარდები საქართველოში მრავლად არიან და თითოეულს მხარდაჭერა სჭირდება. სწორედ ამას ისახავს მიზნად „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“.

ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 25 მარტს (ახ. სტილით 7 აპრილს) აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“.

უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთარ არს ღმერთი“. ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვაი ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

მარიამის ძეს ღმერთი დავითი საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტისა და იაკობის სახლზე - ისრაელის თორმეტ ტომზე - საუკუნო (მარადიულ) სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, - და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვევ სულთა ჩვენთა.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს - სწორედ ამ სათნოებათა გამო გამოირჩია იგი უფალმა.

ქალწულ ღვთისმშობელზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც იგი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, იქ, სადაც წერია: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“, - თურმე შეყოვნდა, გაიფიქრა, რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელზეც ეს ითქვაო და ღმერთს შეევედრა, მისი ხილვის ღირსი გამხდარიყო, რათა მხევალივით მომსახურებოდა მას.

სწორედ ამ სიმდაბლის გამო იყო, რომ მთავარანგელოზმა ესოდენ სულგრძელად დაუთმო ქალწულ მარიამს, რომელმაც ზეციურ მახარებელს ნათქვამის დამტკიცება და ახსნა მოსთხოვა. არცთუ დიდი ხნის წინ გაბრიელი მღვდელ ზაქარიას გამოეცხადა და შვილის შეძენა ახარა, მაგრამ მღვდელმა არ დაუჯერა, რადგან ისიც და მისი ცოლიც ღრმად მოხუცებულნი იყვნენ. მთავარანგელოზი განურისხდა მას და დაადუმა, ვიდრე წინასწარმეტყველება ახდებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს კი არამცთუ არ უსაყვედურა, არამედ დიდი კრძალვითა და მოთმინებით დააჯერა იგი და არ განეშორა, სანამ მორჩილებითა და სასოებით აღსავსე სიტყვები არ გაიგონა მისგან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზაქარიამ თავისი ეჭვით ღრმად დაფარული ურწმუნოება გამოხატა, ყოვლადწმინდა მარიამმა კი - მორჩილება და სიმდაბლე.

ღმერთს არ სურდა, იძულებითა და შიშით აღგვასრულებინოს რომელიმე საქმე ან, პირიქით, დაგვიშალოს რაიმეს კეთება. იგი გულმოწყალეა, სამართლიანი, წმინდა და სურს, ჩვენც ასეთივენი ვიყონ, მაგრამ კი არ გვაიძულებს სიკეთეს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით მივყავართ მისკენ. მას სურს, რომ ჩვენი ნებით აღვასრულებდეთ ყოველ კეთილ საქმეს.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

ბზობა – უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში



იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, სადაც მას ეგებება ხალხი, რომელიც პალმის ტოტებს უფენს წინ შეძახილებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა, მეუფე ისრაჱლისაი!“ (იოანე, 12,13). თითქოსდა ქრისტიანობა დღესასწაულობს — ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი, მთელი ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებათ — ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მიწიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან, და არა გაცილებით საშიში მტრისგან — ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველ ყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველა მყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მისიის აღიარების, მეორე მხრივ — წინარე სახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის, და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება — მშვიდობის ნიშანია, ცხენზე — ომისა).

მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებნიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

ხსოვნა

ზურაბ გოგილაშვილი

ზურა, როგორ მტკივა გული, რომ შენ აღარ ხარ. გვენატრება შენი ხმის გაგონება, ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება უშენოდ. 25 თებერვალი საშინელი დღეა ჩვენს ცხოვრებაში, მიჭირს ამ დღის გახსენება, ჩემო სიცოცხლე–შენი თვალები, შენი სიმშვიდე... ისევ ჩემზე ზრუნავდი, რომ არ მეგრძნო სიკვდილის საშიშროება, როგორ მანუგეშებდი. დღესაც ყურში ჩამესმის შენი სიტყვები - არ ინერვიულო, ნუ გეშინიაო. თურმე რა მელოდა და არ მინდოდა ამის დაჯერება. როგორ გინდოდა სიცოცხლე, ჩვენო ერთადერთო, იმედს არ კარგავდნენ შენი შვილებიც, აქეთ მანუგეშებდნენ: - დედა, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ამაოდ. დღეს უჭირთ უშენობა, ზურა, შენს გარეშე ცხოვრება, არ უნდათ, რომ დაიჯერონ ეს მწარე რეალობა. ყველა ქმედებას შენ გიკავშირებენ, მამას ასე ენდომებოდა და გაუხარდებოდაო. სულ შენს სურათს ეფერებიან. მონატრებას ვერ ფარავენ. ენატრები ოთოს. შენს შეგებებას ნატრულობს, შენი ხმის გაგონებას, ამბობს, როგორ მჭირდება მამის გვერდში დგომა ამ წუთასო. შენ ხომ არ შეგეძლო ნინოს გარეშე, ახლა მასაც ძალიან უჭირს, ენატრები, ეფერება შენს ნივთებს და გულში იხუტებს.რა ვუყო, მეუბნებიან, დედაც შენ უნდა იყო და მამაცო, მაგრამ მე ამათ უშენობას ვერ შევუვსებ. ძალიან თბილი, მოსიყვარულე , მზრუნველი მამა დაკარგეს. მწარე ყოფილა და უსამართლო ეს ცხოვრება, გული მტკივა, ჩვენთან რომ აღარ ხარ, ძალიან მენატრები და მიჭირს უშენოდ ცხოვრება, ჩემო სიცოცხლევ. შენს დანატოვარ ორ სანთელს ღირსეულად გავზრდი ისე, როგორც შენ გინდოდა შენს სულს გეფიცები. ძნელია შვილმკვდარი მშობლების ყურება, რომლებიც შენს საფლავს არ შორდებიან, თვალები ცრემლებით ევსებათ, მაგრამ შენი შვილების გამო იკრებენ ძალას. რა ტკბილი ყოფილა შენს გვერდით გატარებული ეს ოცდაორი წელი და რა მწარეა ეს ორმოცი ცრემლიანი დღე უშენოდ. მიჭირს ძალიან, მგონია, ცამ პირი შეკრა და ბინდი ჩამოწვა ჩემს გარშემო, როგორ მიყვარდა გაზაფხული შენთან ერთად და როგორ მძულს ახლა უშენოდ.რამდენი აუსრულებელი ოცნება მოიტოვე უკან შენი ოჯახისთვის. ძნელია, მაგრამ ვუძლებთ უშენობას იმ იმედით, რომ უფალმა წაგიყვანა თავისთან. ნათქვამია, უფალსაც კარგები უნდაო, ოღონდ იმქვეყნად მაინც იყავი ბედნიერი. შენმა სულმა დაიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, აგინთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულისთვის, ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ.

მონატრებით, შენი მეუღლე
როზა გოგილაშვილი.

დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის თანამშრომლები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან საუკეთესო დედის, კარგი მეუღლის, მეგობრის და თანამშრომლის, სიკეთით აღსავსე ქალბატონის

ქრისტინე ქადაგიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამშობიარო განყოფილების ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან

ლილი ბასილაშვილ-ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ და ლალი ტოკლიკიშვილების ოჯახებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს სოფელ ფიროსმანში ვალიკო აბაშიძეს მამის

შახზად აბაშიძის

გარდაცვალების გამო.

კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ორი ძეგლი

გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კიდევ ორ უნიკალურ ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ელდარში ხორანთას ნაქალაქარს და სასაზღვრო ზოლთან მდებარე ნაქალაქარის ნაშთებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებით, ნაქალაქარ ხორანთას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ხორანთა დედოფლისწყაროს რაიონში, ელდარის ველზე, სამუხის ქედის დასავლეთ ძირში მდებარეობს.

გაზეთ „შირაქის“ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ მსგავსი სვეტის ძირები, როგორიც ამჯერად ხორანთას ძეგლთან შეინიშნება, 2011 წლის 10 აპრილს დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელ საბათლოში ერთ-ერთმა ადგილობრივმა იაშა აღაჯაიანმა საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებისას შემთხვევით აღმოაჩინა. ექსპერტები ამ დრომდე იკვლევენ, იყო თუ არა საბათლოში რომაელი ლეგიონერების დროებითი სადგომი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საბათლოში აღმოჩენილი უცნობი წარმომავლობის სვეტის ძირი, ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში აგებული შენობის ნაწილი უნდა იყოს. სვეტის ძირი ამჟამად ილიას უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება.

„ხორანთის, იგივე ქ. ჰერეთის დაარსებას საისტორიო წყაროები ჰეროსს მიაწერენ. იგი ჰერეთის სამეფოს დედაქალაქი იყო, რომელმაც თავისი არსებობა, ლეონტი მროველის მიხედვით, VIII ს-ში არაბთა შემოსევების დროს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის თანახმად 1265 წ. ბერქა ყაენის დამანგრეველი ლაშქრობის შედეგად შეწყვიტა.

ნაქალაქარი მიკვლეული იქნა 1965 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი. ლ. ჭილაშვილი). ქალაქი 10 ჰექტარზეა განფენილი. რამდენიმე უბნის გაერთიანებაა, რომლებიც ერთმანეთისგან მცირე ხევებითაა გამოყოფილი.



ნაქალაქარის ერთ-ერთ უბანზე 2009 წ. გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ნაგებობა დამრხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. კედლების ქვედა წყობა მსუბუქად დამუშავებული ქვიშაქვისაა თიხით შემტკიცებული, ზედა ფენა კი – ალიზის აგურის. კარის ღიობი ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია. ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ ორი ბაზისია ერთმანეთისგან 3,75 მ დაშორებული. ნაგებობის სამხრეთ ნაწილში ჩადგმულია საშუალო სიდიდის ქვევრი. აღნიშნული ნაგებობა უფრო ადრეული ნაგებობის ნაშალზე დგას, რომლის კუთვნილია აქვე აღმოჩენილი აქემენიდური ხანით დათარიღებული სვეტის ლილვიანი და სამსაფეხურიან ,,კვარცხლბეკზე“ დაყრდნობილი ბაზისი“, - აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამას გარდა, საქართველო - აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე ნაქალაქარს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ნაქალაქარის სამხრეთი ნაწილი ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. მის შესახებ ისტორიული ცნობები არ არსებობს და მისი სახელწოდებაც უცნობია. ნაკლებად ცნობილ ძეგლს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი გასულ კვირას მიენიჭა.

ნაქალაქარი გაშლილია რამდენიმე ჰექტარზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. ყველა მხრიდან დაცულია კლდეებით. ქვედა მხარეს ნაქალაქარი ორ ტერასადაა გაშლილი. მთის ცენტრალურ ქიმზე ციტადელია, რომელიც ქალაქს ორი მხრიდან - ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან უკავშირდებოდა. ციტადელს 1 მეტრი სისქის გალავანი უვლიდა გარს. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, შუაში ჩართულია გარეთ განზიდული ოთხკუთხა პედესტალზე მდგარი გეგმით წრიული გოდოლი.

ციტადელში შემორჩენილია ორი ნაგებობა: ეკლესიის ნაშთები და მიწაში ჩადგმული სათავსო ნაგებობა.

შეგახსენებთ, სულ ახლახანს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა კიდევ ერთ ობიექტს, რომელიც კოწახურას ქედის მახლობლად, ჭაჭუნას აღკვეთილის მიმდებარედ აღმოაჩინეს. ამის შესახებ ვრცელი მასალა „შირაქის“ წინა ნომერში უკვე გამოქვეყნდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ! ნინი კორახაშვილს!

ნინი, ჩვენო ლამაზო, სინაზით აღვსილო და ნიჭიერო გოგონა, ჩვენო ნათლულო, გილოცავთ 11 წლის თავს. გისურვებთ ლაღ და ბედნიერ ბავშვობას, წარჩინებით სწავლას და შენი მიზნების ასრულებას. იმედია, სამშობლოს ღირსეული და ძლიერი ქალბატონი გაიზრდები და შენს ადგილს დაიმკვიდრებ ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. უფალი იყოს შენი მფარველი.

პატივისცემით,
ლალი მეხრიშვილი და ვაჟა გოგაშვილი.

სოფიო მაჭარაშვილს! შოთა შანშიაშვილს!

გილოცავთ შვილის დაბადებას. ეს ხომ ღვთის ხილული სასწაულია. გისურვებთ, ყოფილიყავით ბედნიერი მშობლები, პატარა სალომეს კი ჯანმრთელობას და უზრუნველ მომავალს ვუსურვებთ!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგეობის თანამშრომლები

თქვენმა სიკეთემ გული გაგვითბო...

უამრავი ლამაზი და საინტერესო დღეები გვახსოვს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, მაგრამ განსხვავებულად თბილი და მშვენიერი, მადლიანი და გულიანი დღე იყო 31 მარტი, როცა ქსოვის წრის მოსწავლეებმა ნანა მასწავლებლის (ნანა ახალაშვილი) ინიციატივით სათნოების სახლის ბენეფიციარებს საგაზაფხულო საჩუქრები მოუმზადეს და სტუმრად ეწვივნენ. ლია მასწავლებლის მიერ (ლია ნატროშვილი) თექაზე შესრულებულმა სუვენირმა დაამშვენა სასადილო დარბაზი. ყვავილებით, ტკბილეულით, ლექსებითა და სიმღერებით მოეფერნენ პატარები სახლის ბინადრებს. მათ არც მასწავლებლები ჩამორჩნენ და თავიანთი შემოქმედებით გაახარეს მოხუცები, რომლებმაც დალოცეს ბავშვებიც და მასწავლებლებიც.

საოცარია, მაგრამ რაც არ უნდა მცირე იყოს სიკეთე, გაღებული თუ მიღებული სულს ესალბუნება, სითბოთი გავსებს, გამაღლებს, გამდიდრებს.. გიჩნდება სურვილი, უფრო მეტი ადამიანი გაახარო.

ყოველთვის გქონდეთ უნარი და სურვილი ასე უანგაროდ, უბრალოდ სიკეთის კეთებისა ჩემო თეკლა, ლუკა, ანი, სალომე, ნატალი, ლიზი, ლალიანა, მილენა, ლილე, მარი, ზურა, ნიკოლოზ, გიორგი, ნიკა..

„გმადლობთ ბავშვებო ამ სითბოსთვის,
და ამ ლამაზი ერთი დღისათვის,
თქვენმა სიკეთემ გული გაათბო,
სულში იმედის შუქი აანთო,
ჩაჩოქილ კაცს თუ ხელს შეაშველებთ,
წამოაყენებთ, გზას გაუყენებთ,
მარტოობაში არ მიატოვებთ,
და თბილ სიტყვასაც არ დაიშურებთ,
ღიმილით თუკი გულსაც გაუთბობთ,
ლუკმას ალალად, უხმოდ გაუყოფთ,
რა მოგვერევა, რა შეგვაშინებს,
ვერასდროს, ვერვინ გადაგვაშენებს“.

მოსწავლე-
ახცალგაზრდობის სახლის
მასწავლებელი ნინო
სიფრაშვილი

იყიდება!
იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (სოკარის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა17. შესაძლებელია გაცვლა კერძო საცხოვრებელ ბინაზე. ფასი შეთანხმებით.
☎ 591 80 35 13.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 10.04	სამშაბათი 11.04	ოთხშაბათი 12.04	ხუთშაბათი 13.04	პარასკევი 14.04	შაბათი 15.04	კვირა 16.04
დღე	3 °	7 °	10 °	14 °	14 °	13 °	13 °
ღამე	2 °	4 °	9 °	13 °	13 °	12 °	13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.